



საქართველოს კრედიტის ბანკარბულება

№ 304 2009 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ამ პრობლემის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდეგში – სამოქმედო გეგმა).

2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა განახორციელოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო).

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოამზადონ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები და სამ თვეში ერთხელ წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.

4. საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ საქმიანობის მონიტორინგის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, დასახული მიზნების მიღწევის გზების დახვეწის მიზნით, სამოქმედო წლის ბოლოს შესაძლებელია სამოქმედო გეგმის კორექტირება.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ეთხოვოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა და თანამშრომლობა საუწყებათაშორისო საბჭოსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის უწყებებთან.


 მიხეილ სააკაშვილი
 №1




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
 2009 წლის 23 აპრილის
 № 304 განკარგულებით

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ინდიკატორი
1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეროვნული რეფერალური მექანიზმის და დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა	1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეროვნული რეფერალური მექანიზმის (შემდგენილი) - ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ჩამოყალიბება	1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის შემუშავება	ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებო-სამართლებრივი საბჭო (შემდგენილი) - საუწყებო-სამართლებრივი საბჭო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადამიან-	2009	ეროვნული რეფერალური მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი